195

BTU

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

195

WWW.BTU.EDU.GE

195

195

195

195

სარჩევი

უნივერსიტეტის შესახებ 2

პროგრამების შესახებ 3

საბაკალავრო პროგრამები 4

ორი დიპლომის აღების შესაძლებლობა 12

გაცვლითი პროგრამები 13

კარიერული ცენტრი 14

მეწარმეობის ცენტრი 15

უწყვეტი განათლების პროგრამა 15

ლაბები 16

ჩვენ შესახებ

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი 2016 წლის 16 სექტემბერს დაარსდა. BTU პირველი კერძო მაღალტექნოლოგიური ცენტრია საქართველოში, რომელიც ერთ სივრცეში აერთიანებს რეგიონალურ ტექნოლოგიურ ჰაბს, ბიზნეს აქსელერატორს, კვლევით ცენტრს, ხელოვნური ინტელექტის ლაბორატორიას, ბლოკჩეინ ლაბორატორიას, კიბერუსაფრთხოების ლაბორატორიას, გადამზადების ცენტრს, განახლებადი ენერგიების ლაბორატორიას, Android & iOS ლაბორატორიას, ინდუსტრია 4.0 ლაბს და სხვ. უნიკალური საგანმანათლებლო პროგრამებით, ინოვაციების ხელშეწყობით, სამეწარმეო ეკოსისტემის ფორმულირებითა და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირებით, BTU სრულიად განსხვავებულ, დასავლური სტანდარტების შესაბამის საგანმანათლებლო სივრცეს წარმოადგენს საქართველოში.

უნივერსიტეტის ხედვა

ინოვაციების ხელშეწყობითა და მეწარმეობაზე დაფუძნებული სწავლებით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს ექნება მნიშვნელოვანი გავლენა საზოგადოებაზე და იმ გარემოზე, რომელშიც მოღვაწეობს.

უნივერსიტეტის მისია

უნივერსიტეტის მთავარი მისიაა შესთავაზოს საზოგადოებას უნიკალური გამოცდილება ბიზნესისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში, მისი მოლოდინების შესატყვისი თანამედროვე უმაღლესი განათლება, განავითაროს პიროვნების ლიდერული და სამეწარმეო უნარ-ჩვევები, სამეწარმეო ეკოსისტემის შექმნისა და ბიზნესის მაღალ ტექნოლოგიებთან ინტეგრირების გზით მისცეს არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც კონკურენტუნარიანობის მოტივაცია და შესაძლებლობა. სამეცნიერო კვლევების შედეგების, იდეებისა და ინოვაციების გაცვლით მოახდინოს ჩვენი პოტენციალის დემონსტრირება გლობალურ ბაზრებზე, იყოს ორიენტირებული თანამედროვე ცოდნის შექმნაზე და გავრცელებაზე, საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირებაზე და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე.

აკადემიური პერსონალი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი დაკომპლექტებულია მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებით, საქართველოში არსებული უმსხვილესი ორგანიზაციების ტოპ მენეჯმენტით, რაც შესაძლებლობას გვაძლევს გადავცეთ სტუდენტებ მეტი ცოდნა და გამოცდილება.

კამპუსი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი განლაგებულია სილიკონ ველი თბილისის ტერიტორიაზე, თბილისის ცენტრში, ეკოლოგიურად სუფთა ადგილას. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ინოვაციური სტუდენტური სამუშაო სივრცე, უახლესი ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, ბიზნეს აქსელერატორი და ინკუბატორი, სპორტული კომპლექსი, საცურაო აუზი, საფეხბურთო სტადიონი.



მიილე მეტი, აირჩიე 195

- ბიზნესის ადმინისტრირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ერთდროულად დაუფლების შესაძლებლობა;
- სასწავლო პროცესში უახლესი ციფრული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება;
- პარტნიორობა 100-ზე მეტ ადგილობრივ და საერთაშორისო დამსაქმებელ კომპანიასთან, საკუთარი სტარტაპის შექმნის მხარდაჭერა სტუდენტობის პირველივე დღიდან;
- მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების კურსდამთავრებული ლექტორები, ქართული კომპანიების ტოპმენეჯერები;
- მრავალფეროვანი, სრულად დაფინანსებული გაცვლითი და სტაჟირების პროგრამები სტუდენტებისათვის;
- სტუდენტური პროექტების მხარდაჭერის უპრეცედენტო მასშტაბები რეგიონში;
- BTU-ს სამუშაო სივრცე სტარტაპებისა და მაღალტექნოლოგიური პროექტებისთვის, გადამზადების პროგრამები, ვორკშოფები, აქსელერაციის პროგრამები, გლობალური სტარტაპ ფონდი, მეწარმეობის ცენტრი, ტექნოლოგიური ლაბორატორიები, ჰაკათონები;
- ინდუსტრიის ყველა მსხვილი წარმომადგენელი „სილიკონ ველი თბილისის“ ერთ სივრცეში;
- უფასო წვდომა მსოფლიოს საუკეთესო სამეცნიერო და სასწავლო მასალებზე;
- საცურაო აუზი, საფეხბურთო მოედანი, ეკოლოგიურად სუფთა გარემო;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დაცვის სისტემა, ადაპტირებული ინფრასტრუქტურა.

BTU - 195

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

1950101

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია:
ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში (BBA in Management)
პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი (ECTS)
პროგრამის საფასური: 2250 ლარი
პროგრამის სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამის მიზანი

- ხელი შეუწყოს ინოვაციური აზროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც დაეხმარება პროგრამის კურსდამთავრებულს მონაწილეობა მიიღოს კონკურენტუნარიანი საწარმოს შექმნაში
- მოამზადოს თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქე.
- მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირებაში (მენეჯმენტში) აქტიური ცოდნისა და უნარების მქონეპროფესიონალი, რომელსაც:
  - აქვს გამომუშავებული აქტუალური დარგობრივი კომპონენტები, რომელიც მას საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციაში მიმდინარე ბიზნეს-პროცესების მართვაში
  - აქვს უახლესი ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი პრინციპების შესახებ
  - აქვს კომპეტენცია ბიზნესის ადმინისტრირების ისეთ ძირითად დარგში , როგორიც არის მენეჯმენტი
  - შეუძლია დაგეგმოს და განახორციელოს ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობა თანამედროვე ტექნოლოგიების , ფინანსური გათვლების, მარკეტინგული დაგეგმვის ,ოპერაციული ინსტრუმენტების გამოყენებით

პროგრამის შედეგები

1. კურსდამთავრებულს აქვს ორგანიზაციულ მართვასთან დაკავშირებული თეორიის ფართო ცოდნა. აცნობიერებს მართვასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად ფუნქციონალურ სფეროში არსებულ ძირითად თეორიებსა და პრინციპებს . კრიტიკულად იაზრებს მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. კურსდამთავრებულს შეუძლია წარმატებით მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციაში მიმდინარე მენეჯერულ პროცესებში, კვლევით აქტივობაში, ორგანიზაციის სტრატეგიული დასამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში, ეფექტიანად გამოიყენოს შესწავლილი თეორიებ ორგანიზაციის წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გადასაჭრელად.
3. კურსდამთავრებულს შეუძლია ორგანიზაციულ მართვასთან დაკავშირებული ფუნქციონალური სფეროების სიტუაციური ანალიზი და ორგანიზაციის უმაღლესი რგოლის მენეჯერებთან ერთად, შეგროვებული მონაცემებიდან გამომდინარე , შესაბამისი დოკუმენტის მომზადება.
4. კურსდამთავრებულს, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ორგანიზაციულ მართვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზებისა და ახალი იდეების შესახებ დეტალური წერილობითი/ ზეპირი ანგარიშის მომზადება და წარდგენა უმაღლესი რგოლის მენეჯერებისა და ფართო აუდიტორიის წინაშე. კურსდამთავრებულს შეუძლია საქმიანი წინადადებების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი შეთავაზებების გაკეთება პოტენციური პარტნიორებისთვის ქართულ და ინგლისურ ენაზე.
5. კურსდამთავრებულს აქვს უნარი ეფექტურად შეაფასოს საკუთარი ცოდნა და შეარჩიოს შემდგომი სასწავლო პროცესი.
6. კურსდამთავრებულმა იცის პროფესიული ეთიკის ნორმები და აცნობიერებს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას, მისი საქმიანობით, ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას საზოგადოებაში.

დასაქმების შესაძლო სფერო

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს:

- კერძო სექტორში - კომპანიის საშუალო რგოლის მენეჯერის პოზიციაზე.
- სახელმწიფო სექტორში-შესაბამისი ფუნქციონალური სფეროს საშუალო რგოლის მენეჯერად.
- საერთაშორისო ორგანიზაციებში-შესაბამისი ფუნქციონალური სფეროს საშუალო რგოლის მენეჯერად.

ერთდროულად ორი უნივერსიტეტის დიპლომის მოპოვების შესაძლებლობა BTU-ს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში!

ორმხრივი შეთანხმება ბოლო სასწავლო წლის, პარტნიორ უნივერსიტეტში გატარებას გულისხმობს:

- ბრაგანჩას პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პორტუგალია;
- სტეფორდშირის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი;
- პრაღის ნიუ იორკის უნივერსიტეტი, ჩეხეთი.

პროგრამა

თავისუფალი კომპონენტი

- ციფრული ტექნოლოგიების პრინციპები
- დემოკრატიული მმართველობის პრინციპები (1)
- მათემატიკა ბიზნესისთვის (1)
- შესავალი მეწარმეობაში
- მათემატიკა ბიზნესისთვის (2)
- ინგლისური (A1, A2,B1)

სწავლების ძირითადი სფეროს კომპონენტი

- მენეჯმენტის საფუძვლები
- ეკონომიკის პრინციპები
- მარკეტინგის საფუძვლები
- ინოვაციის მენეჯმენტი და სტარტაპი
- ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები
- ფინანსური აღრიცხვა
- ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა
- მენეჯერული აღრიცხვა
- ფინანსური მენეჯმენტი
- ადამიანური რესურსების მართვა
- ორგანიზაციული ქცევა
- სამეწარმეო სამართალი
- ინვესტიციები
- პროექტების მენეჯმენტი
- ბიზნეს პრაქტიკა

სტუდენტის არჩევანი

- დამატებითი პროგრამები:
  1. საინფორმაციო ტექნოლოგიები
  2. ციფრული მარკეტინგი
  3. ფინანსები
- არჩევითი გაცვლითი პროგრამები
  1. ბიზნეს-მენეჯმენტი
  2. ბიზნეს ადმინისტრირება
  3. ბიზნეს ადმინისტრირება (მენეჯმენტი)
  4. საერთაშორისო ბიზნესი
  5. საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტი
  6. მარკეტინგი, კომუნიკაციები და ინფორმაცია
- არჩევითი სასწავლო კურსები

ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)

1950102

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია:
ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში (BBA in Finance)
პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი (ECTS)
პროგრამის საფასური: 2250 ლარი
პროგრამის სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამის მიზანი

- ხელი შეუწყოს ინოვაციური აზროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც დაეხმარება პროგრამის კურსდამთავრებულს მონაწილეობა მიიღოს კონკურენტუნარიანი საწარმოს შექმნაში
- მოამზადოს თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქე.
- მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირებაში (მენეჯმენტში) აქტიური ცოდნისა და უნარების მქონე პროფესიონალი, რომელსაც:
  - აქვს ცოდნა და შესაბამისი უნარი ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი პრინციპების შესახებ.
  - აქვს კომპეტენცია ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი ფუნქციონალური დარგებიდან ერთ-ერთში- ფინანსებში და შესაბამისად - დარგობრივი კომპეტენცია ფინანსების მართვაში
  - შეუძლია მონაწილეობის მიღება ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსურ დაგეგმვასა და განხორციელებაში, ფინანსური საქმიანობის წარმართვაში დარგის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

პროგრამის შედეგები

- კურსდამთავრებულმა იცის ფინანსების მართვასთან დაკავშირებული თეორიები და მოდელები, კურსდამთავრებულს აქვს ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი ფუნქციონალური საკითხის შესახებ ფართო ცოდნა, კურსდამთავრებული იცნობს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციას.
- კურსდამთავრებულს შეუძლია პრაქტიკაში გამოიყენოს ფინანსების მართვასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, მოდელები, პროგრამული უზრუნველყოფა, ორგანიზაციის წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად შეუძლია მონაწილეობა მის ფინანსურ მართვაში .
- კურსდამთავრებულს შეუძლია ფინანსურ მონაცემთა შეგროვება და მათი ინტერპრეტაცია, მოპოვებული ინფორმაციის შესწავლა, ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.
- კურსდამთავრებულს შეუძლია ფინანსური საკითხების გარშემო პრობლემების, იდეებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალურ წერილობითი/ზეპირი ანგარიშის მომზადება და წარდგენა. კურსდამთავრებულს შეუძლია ფინანსური დოკუმენტის მომზადება, ინტერპრეტაცია და წარდგენა წერილობითი და ზეპირი ფორმით დარგის სპეციალისტებისთვისა და არასპეციალისტებისთვის.
- კურსდამთავრებულს აქვს უნარი ადეკვატურად შეაფასოს ფინანსების მიმართულებით მის მიერ მიღებული ცოდნა, შეძენილი უნარ-ჩვევები და ეფექტურად შეარჩიოს შემდგომი სწავლის პროცესი.
- კურსდამთავრებული აცნობიერებს ორგანიზაციული ღირებულების მნიშვნელობას, იცის ბიზნეს ეთიკის ნორმები და ითვალისწინებს დემოკრატიულ ღირებულებებს საქმიანობისას , აცნობიერებს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას და მოქმედებს შესაბამისად.

დასაქმების შესაძლო სფერო

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს:

- კერძო სექტორში-კომპანიის ფინანსურ განყოფილებაში დაბალი და საშუალო რგოლის მენეჯერის/სპეციალისტის პოზიციაზე
- ფინანსურ ორგანიზაციებში- სხვადასხვა საშუალო რგოლის პოზიციებზე
- სახელმწიფო სექტორში-ორგანიზაციის ფინანსურ განყოფილებებში საშუალო რგოლის მენეჯერის/სპეციალისტის პოზიციაზე
- საერთაშორისო ორგანიზაციებში-ფინანსურ განყოფილებაში საშუალო რგოლის მენეჯერის/სპეციალისტის პოზიციაზე.

ერთდროულად ორი უნივერსიტეტის დიპლომის მოპოვების შესაძლებლობა BTU-ს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში!

ორმხრივი შეთანხმება ბოლო სასწავლო წლის, პარტნიორ უნივერსიტეტში გატარებას გულისხმობს:

- სტეფორდშირის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
- პრაღის ნიუ იორკის უნივერსიტეტი, ჩეხეთი

პროგრამა

თავისუფალი კომპონენტი

- ციფრული ტექნოლოგიების პრინციპები
- დემოკრატიული მმართველობის პრინციპები (1)
- მათემატიკა ბიზნესისთვის (1)
- შესავალი მეწარმეობაში
- მათემატიკა ბიზნესისთვის (2)
- ინგლისური (A1, A2,B1)

სწავლების ძირითადი სფეროს კომპონენტი

- მენეჯმენტის საფუძვლები
- ეკონომიკის პრინციპები
- მარკეტინგის საფუძვლები
- ინოვაციის მენეჯმენტი და სტარტაპი
- ფინანსური აღრიცხვა
- ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა
- მენეჯერული აღრიცხვა
- ფინანსური ტექნოლოგიების საფუძვლები
- მენეჯერული აღრიცხვა
- ინვესტიციები
- ფინანსური მენეჯმენტი
- ბანკინგი
- ფასიანი ქაღალდები
- დაზღვევა
- რისკების მართვა
- ბიზნეს პრაქტიკა

სტუდენტის არჩევანი

- დამატებითი პროგრამები:
  1. საინფორმაციო ტექნოლოგიები
  2. ციფრული მარკეტინგი
  3. მენეჯმენტი
- არჩევითი გაცვლითი პროგრამები
  1. ბიზნეს ადმინისტრირება
  2. ბიზნეს ადმინისტრირება (ფინანსები)
- არჩევითი სასწავლო კურსები

ციფრული მარკეტინგი

1950103

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია:
მარკეტინგის ბაკალავრი (Bachelor of Marketing)
პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი (ECTS)
პროგრამის საფასური: 2650 ლარი
პროგრამის სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც მარკეტინგის სფეროში არსებული თანამედროვე ტენდენციების, ციფრული ინსტრუმენტების, სტრატეგიული მარკეტინგის კონცეფციების ფართო ცოდნის საფუძველზე და ეთიკის პრინციპების დაცვით შეძლებს:

- ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და მომხმარებლის საჭიროებების გათვალისწინებას.
- მარკეტინგული სტრატეგიის დაგეგმვაში, საბაზრო შეთავაზებების განვითარების გეგმის ჩამოყალიბებაში, საბაზრო შეთავაზების მიწოდების და მიზნობრივ ჯგუფებთან ვერბალური და წერითი კომუნიკაციის გეგმების შედგენასა და განხორციელებაში მონაწილეობას.
- ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენებას სხვადასხვა სტრატეგიული მარკეტინგული მიზნების მისაღწევად.

პროგრამის შედეგები

1. კურსდამთავრებული განმარტავს მარკეტინგის და ბრენდინგის პრინციპებს, მარკეტინგული კვლევის მეთოდებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტრუმენტებს, მარკეტინგული კომუნიკაციისა და პრომოციის ინსტრუმენტებს.
2. აღწერს მარკეტინგულ მიქსს და მის კომპონენტებს
3. იყენებს სტრატეგიული მარკეტინგის ცოდნას მარკეტინგული და ბიზნეს პროცესების მართვაში.
4. იყენებს მარკეტინგული კვლევის მეთოდებს მომხმარებლის საჭიროებისა და ბაზრის შესწავლის პროცესში.
5. იყენებს მედიისა და კომუნიკაციის პლატფორმების ცოდნას მედიის წარმომადგენლებთან ურთიერთობის დასამყარებლად და ინფორმაციის გავრცელების პროცესში მონაწილეობის მისაღებად
6. იყენებს ციფრულ ინსტრუმენტებს და სოციალური მედიის პლათფორმებს მომხმარებელთან კომუნიკაციის, მომხმარებელთა ქცევის შესწავლის, ელექტრონული კომერციის და მონაცემთა ანალიზის პროცესების სამართავად
7. იყენებს ეთიკის ნორმებს და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს მარკეტინგული პროცესების მორალურ ჩარჩოებში სამართავად და ეთიკური ბიზნესოპერირებისთვის.
8. მოიძიებს, აანალიზებს და იყენებს ციფრული მარკეტინგის განახლებულ მიდგომებს და ინსტრუმენტებს ციფრული მარკეტინგის პროცესების სამართავად.
9. აანალიზებს მარკეტინგული კვლევის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას და ითვალისწინებს მას მომხმარებელზე ორიენტირებული პროდუქტების განვითარებაში, მომხმარებელთან კომუნიკაციის დაგეგმვის პროცესში, მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდასა და მათი ლოიალობის შენარჩუნებაში.
10. სხვადასხვა მარკეტინგულ გარემოში მართავს ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციებთან დაკავშირებულ პროცესებს მომხმარებლის მედიაჩვევების შეფასების საფუძველზე.
11. მიღებულ განათლებას და უცხოური (ინგლისური) ენის კომპეტენციას იყენებს პროფესიული ინფორმაციის დამუშავებასა და უცხოენოვან კოლეგებთან კომუნიკაციაში.
12. იყენებს წერით და ვერბალურ უნარებს საკომუნიკაციო და საპრეზენტაციო მასალების მოსამზადებლად და აუდიტორიის წინაშე წარსადგენად.

დასაქმების შესაძლო სფერო

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს კერძო, საჯარო და არასამთავრობო სექტორის კომპანიების შესაბამისი პროფილის (ფუნქციონალური სფეროს) სამსახურში შემდეგ პოზიციებზე, მათ შორის, მარკეტინგის სპეციალისტი, ციფრული მარკეტინგის სპეციალისტი, ბრენდ მენეჯერი, რეკლამის მენეჯერი, ექაუნთ-მენეჯერი, გაყიდვების მენეჯერი და სხვა. კურსდამთავრებულის პოტენციური დამსაქმებლები შეიძლება იყვნენ მარკეტინგული და კრეატიული პროექტის შემქმნელი სააგენტოები, მედიაჰოლდინგები, მარკეტინგული კვლევების და მარკეტინგული კონსალტინგის სექტორის კომპანიები, ბანკები, საინვესტიციო კომპანიები და სხვ.

პროგრამა

თავისუფალი კომპონენტი

- ციფრული ტექნოლოგიების პრინციპები
- მათემატიკა ბიზნესისთვის (1)
- შესავალი მეწარმეობაში
- მათემატიკა ბიზნესისთვის (2)
- აკადემიური წერა
- კრეატიული აზროვნება
- ინგლისური (A1, A2,B1)

სწავლების ძირითადი სფეროს კომპონენტი

- მარკეტინგის საფუძვლები
- ფსიქოლოგია მარკეტინგში
- სოციალური მედია მარკეტინგში
- ბიზნესის ეტიკეტი და პროტოკოლი
- ფინანსური რესურსების მართვა
- ციფრული მარკეტინგი
- მომხმარებლის ქცევა
- სტატისტიკა ბიზნესისათვის(საფუძვლები)
- ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები
- პროდუქტის მენეჯმენტი
- ვიზუალური კომუნიკაცია
- ბრენდინგი
- Google-ს მარკეტინგული ინსტრუმენტები
- MS Power BI ანალიტიკა და სხვ.

სტუდენტის არჩევანი

- დამატებითი პროგრამები
  1. საინფორმაციო ტექნოლოგიები
  2. ფინანსები
  3. მენეჯმენტი
- არჩევითი სასწავლო კურსები

საინფორმაციო ტექნოლოგიები

1950104

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია:
ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში (Bachelor of Engineering in Informatics)
პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი (ECTS)
პროგრამის საფასური: 2650 ლარი
პროგრამის სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამის მიზანი

- ხელი შეუწყოს ინოვაციური აზროვნების ჩამოყალიბებას
- მოამზადოს აქტუალური ცოდნისა და უნარების მქონე პროფესიონალი, რომელსაც:
  - აქვს კომპიუტერული ინჟინერიის პრინციპები, კომპიუტერული სიტემების აგებისა და მართვის მეთოდები, ქსელური მოწყობილებების მუშაობის პრინციპების ცოდნა.
  - შეუძლია ქსელური კავშირებისა და კომპიუტერული სისტემების დაპროექტება და შექმნა
  - აქვს იმ მეთოდების ცოდნა და გამოყენების უნარი, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ამოცანის ალგორითმული გადაწყვეტა.
  - დაპროგრამების, კომპიუტერის არქიტექტურის, საკომუნიკაციო ქსელების, ქსელური აპარატურის და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის, მონაცემთა ბაზების, ოპერაციული სისტემების, მიკროელექტრონიკის საკითხებზე შეძენილ ცოდნაზე დაყრდნობით შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების მომხმარებელ ორგანიზაციებსა და კომპანიებში მიმდინარე ქსელურ, სისტემურ, პროგრამულ პროექტებში ჩართვა და ახალი პროექტების დაგეგმვაში მონაწილეობა.

პროგრამის შედეგები

- კურსდამთავრებულს აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს ფართო ცოდნა და აცნობიერებს კომპიუტერული ტექნოლოგიების ირგვლივ წამოჭრილ კომპლექსურ საკითხებს.
- კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება და სხვადასხვა პრაქტიკული ხასიათის პროექტის შესრულება
- კურსდამთავრებულს შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება, განმარტება, ანალიზი (მათ შორის შეცდომების აღმოჩენა), შეფასება და შესაბამისი დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება
- კურსდამთავრებულს შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში არსებული პრობლემების, იდეების, ამოცანების და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი კომუნიკაცია დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე სპეციალისტებსა თუ არასპეციალისტებთან. კურსდამთავრებულმა იცის დარგთან დაკავშირებული საერთაშორისო ტერმინოლოგია.
- კურსდამთავრებულს აქვს უნარი ეფექტურად შეაფასოს საკუთარი ცოდნა და შეარჩიოს შემდგომი სასწავლო პროცესი.
- კურსდამთავრებულმა იცის ეთიკის ნორმები, შეუძლია პროფესიული საქმიანობის პროცესში, ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა.

დასაქმების შესაძლო სფერო

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს:

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო კომპანიებში, ფინანსურ დაწესებულებებში, საბანკო და სადაზღვევო კომპანიებში
- სამრეწველო, სატელეკომუნიკაციო, კავშირგაბმულობის და სატრანსპორტო კომპანიებში
- კომპიუტერული და ელექტრონიკის სავაჭრო და მომსახურების კომპანიებში
- ორგანიზაციებში და კომპანიებში, სადაც ხდება მონაცემთა ცენტრალიზებული დამუშავება, სხვადასხვა კომპანიის ფილიალებთან კავშირი, ცენტრალიზებული ვაჭრობა
- სამართალდამცავ სტრუქტურებში, საჯარისო ნაწილებში, საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრში, უშიშროების, დაზვერვის და სხვა სპეც. სამსახურებში
- ორგანიზაციებსა და კომპანიებში, სადაც მოითხოვება საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა და მათი მუშაობის უზრუნველყოფა.

ერთდროულად ორი უნივერსიტეტის დიპლომის მოპოვების შესაძლებლობა BTU-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში!

ორმხრივი შეთანხმება ბოლო სასწავლო წლის, პარტნიორ უნივერსიტეტში გატარებას გულისხმობს:

- ბრაგანჩას პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პორტუგალია;

პროგრამა

თავისუფალი კომპონენტი

- ციფრული ტექნოლოგიების პრინციპები
- დემოკრატიული მმართველობის პრინციპები (1)
- კალკულისი (1, 2)
- შესავალი მეწარმეობაში
- ინოვაციების მენეჯმენტი და სტარტაპი
- მენეჯმენტის საფუძვლები
- ინგლისური (A1, A2,B1)

სწავლების ძირითადი სფეროს კომპონენტი

- პროგრამირების საწყისები (Python)
- კომპიუტერული ქსელების საწყისები
- მობილური აპლიკაციები
- მონაცემთა ბაზების საწყისები (Oracle)
- პროგრამირება (Python)
- პერონალური კომპიუტერის არქიტექტურა
- კომპიუტერული ქსელები (CCNA)
- ოპერაციული სისტემა (LINUX)
- მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები
- დისკრეტული მათემატიკა
- ვებ პროგრამირება
- დაპროგრამება JVM პლათფორმაზე
- კობერუსაფრთხოება
- მანქანური სწავლების საწყისები
- IT სერვისების მართვა

სტუდენტის არჩევანი

- დამატებითი პროგრამები
  1. მენეჯმენტი
  2. ციფრული მარკეტინგი
  3. ფინანსები
- გაცვლითი პროგრამები
  1. ინფორმატიკის ინჟინერია
- არჩევითი სასწავლო კურსები

ორი დიპლომის აღების შესაძლებლობა

BTU ბაკალავრიატისა სტუდენტებს ორი დიპლომი აღების შესაძლებლობას აძლევს, რაც ბოლო სასწავლო წლის პარტნიორ უნივერსიტეტში გატარებას გულისხმობს შემდეგ ქვეყნებში

დიდი ბრიტანეთი - ჩიჩესტერის და სტეფორდშირის უნივერსიტეტები

პორტუგალია - ბრაგანჩას პოლიტექნიკური უნივერსიტეტი

გაცვლითი პროგრამები

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური უზრუნველყოფს ყველა საფეხურის სტუდენტის ჩართულობას გაცვლით პროგრამებში. გაცვლითი პროგრამებით სარგებლობა სტუდენტებს შეუძლიათ როგორც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის, ასევე ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში. არის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გაცვლითი პროგრამები, საზაფხულო და ზამთრის სკოლები, სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამები წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით.

სრულად დაფინანსებული გაცვლითი პროგრამები ბაკალავრიატისა საფეხურის სტუდენტებისთვის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამების ფარგლებში

- კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია
- ვესტფალიის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია
- ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია
- რომის საპიენცას უნივერსიტეტი, იტალია
- კორუნიას უნივერსიტეტი, ესპანეთი
- კორდობას უნივერსიტეტი, ესპანეთი
- კასტილია ლა მანჩას უნივერსიტეტი, ესპანეთი
- ბრაგანჩას პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პორტუგალია
- რჟეშოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, პოლონეთი
- პოზნანის ეკომონიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტი, პოლონეთი
- პოვისლანსკის უნივერსიტეტი, პოლონეთი
- ლუბლიანას ბიზნესის სკოლა, სლოვენია
- კირილისა და მეთოდიუსის უნივერსიტეტი ტრნავაში, სლოვაკეთი
- დასავლეთ ტიმიშოარას უნივერსიტეტი, რუმინეთი

2023 წლის თებერვალში 40 ევროპულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, მომზადდა ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის 40 ახალი განაცხადი, რომელთა შედეგებიც 2023 წლის შემოდგომის სემესტრში გახდება ცნობილი.

ნაწილობრივ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამები ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში:

- კიოლნის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია
- აშაფენბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია
- ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია
- ვიურცბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია
- ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი, გერმანია
- ტიროლის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ავსტრია
- მინეს ალბი, საფრანგეთი
- პრაღის ნიუ იორკის უნივერსიტეტი, ჩეხეთი
- ბრაგანჩას პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პორტუგალია
- ვილნიუსის უნივერსიტეტი, ლიეტუვა
- კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ლიეტუვა
- პოზნანის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტი, პოლონეთი
- ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტი, ბულგარეთი
- სოფიას უნივერსიტეტი, ბულგარეთი

კარიერული ცენტრი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის კარიერული განვითარების ცენტრი პირველივე სემესტრიდან იწყებს სტუდენტებთან ინტენსიურ მუშაობას და აგრძელებს მათთან თანამშრომლობას სწავლის დასრულების შემდგომაც.

- ყოველწლიურად, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების მიზნით, ცენტრი მართავს კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებს, გადამზადების კურსებს, ატარებს ინტენსიურ ტრენინგებს, სიმულაციურ გასაუბრებებს;
- ცენტრი ყოველსემესტრულად მართავს მასშტაბურ დასაქმების ღონისძიებებს, თანამშრომლობს 100-ზე მეტ მსხვილ დამსაქმებელ კომპანიასთან;
- ყოველსემესტრულად, კარიერული ცენტრის მიერ სტუდენტებისთვის შეთავაზებულია 700-ზე მეტი ვაკანსია;
- BTU-ს სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი საბაკალავრო საფეხურზე 60%-ს, სამაგისტროზე კი 90%-ს სცდება

მეწარმეობის ცენტრი

მეწარმეობის ცენტრი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისა და მსოფლიოს უმაღლეს რეიტინგში მყოფი ჰენლის მეწარმეობის ცენტრთან პარტნიორობით, სილიკონ ველი თბილისის ბაზაზე 2019 წელს გაიხსნა. მეწარმეობის ცენტრი სტუდენტებს, ისევე როგორც ქვეყანაში არსებულ ყველა სტარტაპს, სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს. მეწარმეობის ცენტრის ბენეფიციარებისთვის სრული დაფინანსებით არის ხელმისაწვდომი ვებინარები, ტრენინგები, სტარტაპ ბანაკები, კვალიფიციურ მენტორებთან ინდივიდუალური კონსულტაციები და სხვა მათთვის საჭირო სერვისები.

სტუდენტებისთვის დაგეგმილი აქტივობები და სერვისები

მეწარმეობის ცენტრი სტუდენტებს, ისევე როგორც ქვეყანაში არსებულ ყველა სტარტაპს, სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს. მეწარმეობის ცენტრის ბენეფიციარებისთვის სრული დაფინანსებით არის ხელმისაწვდომი ვებინარები, ტრენინგები, სტარტაპ ბანაკები, კვალიფიციურ მენტორებთან ინდივიდუალური კონსულტაციები და სხვა მათთვის საჭირო სერვისები. პროექტ ბიზნეს კლინიკის ფარგლებში, ცენტრი ყოველწლიურად ახორციელებს მასტერკლასებს უახლესი ტექნოლოგიური ტრენდების შესახებ, ატარებს კვლევებსა და გადამზადების სხვადასხვა მოდულებს. ბიზნეს კლინიკა ვებინარებითა და ინდივიდუალური კონსულტაციებით ფარავს ისევ თემებს როგორიცაა: ციფრული პროდუქტის დიზაინი, UX/UI დიზაინი, ტექნოლოგიური პროექტების მართვა Agile და Scrum მეთოდოლოგიით, ციფრული მარკეტინგის უახლესი ტენდენციები და სხვა

უწყვეტი განათლების პროგრამა

BTU-ს გადაწყვეტილებით, უწყვეტი განათლების პრინციპის შესაბამისად, ყველა კურსდამთავრებული, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, საჩუქრად 100%-იანი დაფინანსებით გაივლის სასერტიფიკატო კურსს იმ საგანში, რომელიც უნივერსიტეტში ნებისმიერი სასწავლო პროგრამის ფარგლებში ისწავლება. ამის გარდა,ყველა კურსდამთავრებულს მოემსახურება კარიერული განვითარების ცენტრი, ტრენინგებითა და გადამზადებებით.

ლაბები

IOS & ANDROID

ლაბორატორია – შექმნილია USAID-ის დაფინანსებით და სტუდენტების, ლექტორებისა და გარე ბენეფიციარების iOS და ანდროიდის მიმართულებით გადამზადების, პროექტების ინიცირებისა და გამოცდილების გაზიარებას ემსახურება

კიბერუსაფრთხოების ლაბორატორია

ინიციატივა BTU-ში 2017 წლიდან შეიქმნა. სხვა აქტივობებთან ერთად ლაბორატორიის ფარგლებში განვითარდა და განხორციელდა ჟან მონეს პროექტი ევროკავშირის კიბერუსაფრთხოების განათლების მხარდაჭერა.

ბლოქჩეინ ლაბორატორია

ინიციატივის ფარგლებში მიმდინარეობს სწავლება და გადამზადება ბლოკჩეინ სისტემების დეველოპმენტის მიმართულებით, ასევე, მისი ინტეგრირება ორგანიზაციულ პროცესებში.

ლაბორატორია 4.0

შექმნილია ევროკავშირის დაფინანსებით და მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციისა და მასთან დაკავშირებული ცვლილებების მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას, მოკლე და გრძელვადიანი ტრენინგ კურსების, გადამზადების პროგრამების ორგანიზებას და ცოდნის გაზიარებას ემსახურება.

განახლებადი ენერგო წყაროების ლაბორატორია

საქართველოში პირველი ცოდნის და გამოცდილების გაზიარების პლატფორმა, რომლის საშუალებითაც ხდება საქართველოს ენერგო სექტორში მოქმედი კომპანიების წინაშე არსებული გამოწვევების განხილვა და შესაბამისი კვლევებისა და კონსულტაციებს გამართვა. ლაბის ფარგლებში 2022 წლიდან ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ჟან მონეს მოდული, რომელიც ენერგო უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების მიმართულებებზე ფოკუსირდება.

AI ლაბორატორია

კონცეპტი შეიქმნა Mercedes Benz-ის წარმომადგენლობის ხელშეწყობით. BTU-ს სტუდენტებს და ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს აქვს საშუალება მსოფლიოს წამყვან IT კომპანიებთან ითანამშრომლონ და მათთვის საინტერესო პროდუქტები განავითარონ.

შეამოგვიერთდით

მისამართი: თბილისი, საქართველო | ი.ჭავჭავაძის გამზირი N82
www.btu.edu.ge | (+995 32) 2 195 015

BTU | ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

195